საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/10 „22" ივნისი 2008 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/202-2007 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, 2008 წლის 1 იანვრიდან, საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის საჭირო ხარჯები აუნაზღაურდეს:

ა) ქ. თბილისში: თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე პაატა ქათამაძეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე ნათია გუჯაბიძეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ჯორბენაძეს, თბილისის საქალაქო სასამართლოში მივლინებულ მოსამართლეებს დავით ჯუღელს, ლილი ტყემალაძეს და ჯემალ კოპალიანს.

ბ) ქ. ქუთაისში: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს მალხაზ გურულს და კობა გოცირიძეს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე ციცინო კიკვაძეს.

გ) ქ. ბათუმში: ბათუმის საქალაქო სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე მერაბ კოზმავას.

დ) ქ. ზუგდიდში: ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით კეკენაძეს, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ მოსამართლეებს ირაკლი აბშილავას და ამრიდო გელანტიას.

ე) ქ. აბაშაში: აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ინდირა მაშანეიშვილს.

ვ) ქ. გარდაბანში: გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქეთინო ლუაშვილს.

ზ) ქ. ლანჩხუთში: ლანჩხუთის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე გელა ქირიას.

თ) ქ. მარტვილში: მარტვილის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თემურ ქათამაძეს.

ი) ქ. ონში: ონის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს რობერტ ჭინკორაშვილს და ლევან მაისურაძეს.

კ) ქ. საგარეჯოში: საგარეჯოს რაიონულ სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე გიორგი მაისურაძეს.

ლ) ქ. სიღნაღში: სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილს.

მ) ქ. ხაშურში: ხაშურის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე ლეილა არხოშაშვილს.

ნ) დაბა მესტიაში: მესტიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნუგზარ ბურდულს.

ო) დაბა ქობულეთში: ქობულეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვერა დოლიძეს და ქობულეთის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე იუზა ბუცხრიკიძეს.

2. დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს ამ გადაწყვეტილებაში მითითებული მოსამართლეებისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება „საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 16 იანვრის №1/7 გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებში.

3. გადაწყვეტილებაში მითითებულმა მოსამართლეებმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, გადაწყვეტილების გაცნობიდან 2 კვირის ვადაში, წარუდგინონ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/289-2007 გადაწყვეტილება.



გიორგი ხიზანიშვილი
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მდივნის მოვალეობის შემსრულებელი